



13 ივნისი, 2011 წ.

### პრეს რელიზი

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ პროექტის „საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საარჩევნო საკითხებთან მიმართებაში“ ფარგლებში, 2011 წლის 16-29 მაისის განმავლობაში გამართა 6 საჯარო დებატი საქართველოს 2 თვითმმართველ ქალაქში და 4 მუნიციპალიტეტში. შეხვედრები გაიმართა რუსთავეში, ქუთაისში, თიანეთში, გორში, საჩხერესა და წალკაში, სადაც „სამართლიანი არჩევნებისა“ და სამი პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციის (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია) საერთაშორისო გამჭვირვალობა, ახალი თაობა ახალი ინიციატივა) წარმომადგენლებმა ადგილობრივ მოსახლეობას გააცნეს მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. შეხვედრებზე დამსწრე საზოგადოებამ გამოხატა საკუთარი მოსაზრებები და წარმოადგინა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციები. დებატებზე გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი რეკომენდაციები:

#### რუსთავი, 16.05.2011

შეხვედრას ესწრებოდა 45 მონაწილე. რეკომენდაციები - გადაიხედოს საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი და საარჩევნო კომისიები დაკომპლექტდეს ისეთი მოხელეებით, რომელთაც გასული არჩევნების დროს არ ჩაუდენიათ საარჩევნო სამართალდარღვევა/ები; საარჩევნო ადმინისტრაცია სრულად დაკომპლექტდეს უპარტიო მოხელეებით; შეიქმნას ამომრჩეველთა სიებზე მომუშავე მუდმუვმოქმედი ჯგუფი და მოხდეს ამ ჯგუფის მიერ განხორციელებული საქმიანობებისა და მიღწეული შედეგების მუდმივი განსაჯაროვება მასმედიის საშუალებით.

#### თიანეთი, 17.05.2011

შეხვედრას ესწრებოდა 71 მონაწილე. რეკომენდაციები - შესაძლებელი გახდეს მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენა საინიციატივო ჯგუფის მიერ; დარეგულირდეს და შეძლებისდაგვარად აღიკვეთოს პოლიტიკურ პარტიათა მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მუდმივი და სისტემატური ცვლა; დადგინდეს ამომრჩეველთა სიების გაუმჯობესებაზე მომუშავე და შესაბამისად, მასზე პასუხისმგებელი მხოლოდ ერთი ორგანო.

#### გორი, 18.05.2011

შეხვედრას ესწრებოდა 72 მონაწილე. რეკომენდაციები - მოხდეს მკვეთრი ხაზის გავლება პოლიტიკურ პარტიათა საარჩევნო კამპანიასა და საჯარო მოხელეთა საქმიანობას შორის; გაიზარდოს ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩეველების მიერ საკუთარი თავის გადამოწმების ვადა; საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების დროს გამოყენებულ იქნას კვალიფიკაციის მაღალი მოთხოვნები.

#### ქუთაისი, 23.05.2011

შეხვედრას ესწრებოდა 106 მონაწილე. რეკომენდაციები - ამომრჩეველთა სია დაიხვეწოს ისე, რომ მასში არ ფიგურირებდეს არარსებული მისამართები, შეიქმნას სპეციალური ჯგუფი, რომელიც მუდმივად იმუშავებს ამომრჩეველთა სიის გაუმჯობესებაზე. მოხდეს საარჩევნო კანონდარღვევებზე პასუხისმგებლობის დაკისრება, და ეს მკაფიოდ დარეგულირდეს საარჩევნო კანონმდებლობით; კანონმდებლობით დარეგულირდეს

გენდერული ბალანსის დაცვა პოლიტიკური პარტიების სიებსა და საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობაში; საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებისთვის გაიწეროს მკაფიო შერჩევის კრიტერიუმები.

**საჩხერე, 24.05.2011**

შეხვედრას ესწრებოდა 71 მონაწილე. რეკომენდაციები - პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსება მოხდეს, პარტიათა რესურსის/შემადგენლობის პროპორციულად; კანონმდებლობით აიკრძალოს საარჩევნო სუბიექტების მიერ არჩევნების დღეს აგიტაცია, რაც გამოიხატება მათი სხვადასხვა საარჩევნო უბნებზე ვიზიტით; დარეგულირდეს პარტიების წარმომადგენელთა მუდმივი ცვლა უბნებზე, რაც ხელს უშლის საარჩევნო უბნების გამართულ მუშაობას.

**წალკა, 27.05.2011**

შეხვედრას ესწრებოდა 50 მონაწილე. რეკომენდაციები - კანონმდებლობით დაწესდეს ზღვარი, რომელიც არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ მისცემს კონსტიტუციური უმრავლესობით პარლამენტში მოსვლის შესაძლებლობას; საოლქო საარჩევნო კომისიებს მიეცეთ მეტი ძალაუფლება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტების მოძიებასა და რეაგირებასთან მიმართებაში; გადაიხედოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონებისთვის ენობრივი ბარიერის გადალახვის საშუალებები და დარეგულირდეს ისე, რომ აღნიშნულმა ბარიერმა საარჩევნო პროცესი არ შეაფერხოს.

„სამართლიანი არჩევნები“ კვლავაც განაგრძობს საქართველოს ამომრჩევლებთან შეხვედრებს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში, რათა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად მოახდინოს ფართო საზოგადოების ინფორმირება საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით. ამასთან, ამომრჩევლისგან მიღებულ რეკომენდაციებს რეგულარულად წარუდგენს ყველა დაინტერესებულ მხარეს.

---

ამ პრეს რელიზის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“, USAID-ის მეშვეობით. გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის მხოლოდ „სამართლიანი არჩევნებს“ და შესაძლოა, არ გამოხატავდეს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდს, USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

